# სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:
გაგზავნით თფილისში გაუგზავნელად:
და გარეშე ადგილებში:

| | | |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 4 მან. | — 3 |
| ნახევრის წლისა | — 3 — | — 2 |
| სამის თვისა | — 1 მ. 50 კ. | — 1 მ. |

მესამე წელიწადი

გამოდის შაბათობით

ხელისმოწერას მიიღებს.
თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, სერგიევის ქუჩაზე ხატისოვის სახლში.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ», при типографіи Дубелира (Г. Церетели и к°).

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოების და აგრეთვე გლეხების დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება თფილისში, დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ). სტამბაში.

№ 25 შაბათი III 5 დეკემბერი, 1870 წ.

## რედაქციისაგან

მომავალს წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია ეცდება წასულ წლებზე უკეთ აასრულოს თავის მოვალეობა. წინა წლებში ჩვენ გვინდოდა სამეცნიერო და სამეურნეო განყოფილებაში სტატიები სურათებითაც განგვემარტებინა; მაგრამ რადონის-მიების იმედიც გვქონდა, ის არ აგვისრულდა და ამისგამო ჩვენმა ანგარიშმა ფუჭათ გაიარა. ორიოდე სურათი კი დავბეჭდეთ შარშან, მაგრამ მარტო ამით რა გახდებოდა. მომავალს წელს იმედი გვაქვს, როგორც სურათებით, ისე თვითონ სტატიების ღირსებით გამოვისყიდოთ, რაც გასულს, წლებში დაგვაკლდა. რაიცა შეეხება ხელის მოსაწერს ფასს და სხვა პირობებს, ისევ ისე დარჩება, როგორც აქამომდე ყოფილა.

უმთავრესი ნაკლულევანება «სასოფლო გაზეთისა» ის იყო, რომ მკვირცხლად არ განსჯიდა იმ მოთხოვნილებათა, რომელნიც ახლანდელს ჩვენს მდგომარეობას შეეფერება, მაგრამ მომეტებულ ნაწილათ რედაქციაზე არ იყო დამოკიდებული ამ ნაკლულევანების მოკვეთა. შემდეგში კი რამდენიც შეიძლება, მოხერხებას არ დავაკლებთ, რომ ეს ნაკლულევანება შევამციროთ.

ხელის მოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:

ტფილისში» «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში, სატისოვის სახლში სერგიევისა და სოლოლაკის ქუჩაზე.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და სვიმონ დოდობერიძესთან, სილაზე.

თფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Въ Тифли.ъ въ контору Редакціи «Сельской Газеты,» на углу Сололакской и Сергіевской улицъ. Д. Хатисова

## ხელმოსაწერი ფასი:

| | გაუგზავნელათ. | გაგზავნით. |
|---|---|---|
| ერთი წლის თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში — — — — — — — — — | 3 მან. — — | 4 მან. |
| ნახევარი წლის — — — — — — — | 1 მ. 50 კ. | 2 მ. |

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ვსთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვევით შემოგვითვალონ თვისი სახელი გვარი და ადგილ-სადგომი.

შინაარსი:

— შინაური ამბები:—დუშეთის საერო შკოლაზე.— აბხაზეთის ამბები. — ახალ-სამხედრო წესის ამბავი.— რამდენიმე სიტყვა საქონლის ექიმებზე რუსეთში.—სამეურნეო ამბები.— ზოგიერთი სასარგებლო ფრინველები. —სხვა და სხვა გვარის ქათმები.— შემწვარი წაბლით ვაჭრობა,—უცხო ქვეყნის ამბები.— განცხადება «სასოფლო გაზეთის, გამოცემაზე.

## შინაური ამბები

მკითხველს ეხსომება, რომ წარსულს ოქტომბერს ოდესაში ღვინოების და თანბაქოს გამოფენა იყო; ამ გამოფენაში ჩვენი ქვეყნიდგანაც მიიღეს ზოგიერთებმა მონაწილეობა მაგრამ, როგორც გაზეთებში სწერენ, მალიან სუსტად, ასე რომ კავკასიის ღვინოები და თამბაქოები ყველაზე უფრო ნაკლებათ იყო. გამოფენილი საგნების დამფასებლების (ექსპერტების) გადაწყვეტილებით, ორ პირს მიუღია საჩუქარი (პრემია) საუკეთესო ღვინის გამოფენისათვის: ერთს წითელი ღვინისათვის—დიდი ვერცხლის მედალი და 25 მან. და მეორეს, თ. ანდრონიკოვს, თეთრი კახური ღვინისათვის (სოფ. გორასტასტიდამ) მიუღია პრემიათ პატარა ვერცხლის მედალი.

## დუშეთის საერო შკოლა.

ყველაზე უფრო ღირს შესანიშნავი დუშეთ-ში შკოლაა, რომელშიაც, როგორც სარწმუნო პირმა მითხრა, ასიოდ ყმაწვილი სწავლობს. შკოლა ორ კლასიანია; ასწავლიან: რუსულს, ქართულს, არითმეტიკას და საღვთო წერილს. რუსულს თვითონ ზედამხედველი—უფ. ჩერნიავი ასწავლის, რომელსაც ძალიან ემადლიერება საზოგადოება. ქართულს და საღვთო წერილს—იქაური მღვდელი და არითმეტიკისთვის ცალკე მასწავლებელი ჰყავთ შკოლასთან გამართულია სახელოსნო განყოფილება, სადაც შაგირდებს ზოგიერთ ხელობას ასწავლიან; და ამას გარდა აქვა პანსიონი სადაც თხუთმეტამდი ხევსურების, ფშავლების და სხვა მთიულების შვილები იზრდებიან სახელმწიფო ხარჯით.

* * *

თფილისის მედიცინის საზოგადოებაში იყო მოლაპარაკება ხოლერის თაობაზე. ახლა ეს საზოგადოება აცხადებს, რომ რადგან ჯერეც არ მოსპობილა თფილისში ზოგიერთი ხოლერის ნიშნები, ამიტომ ვურჩევთ ყველას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ფეხის-ადგილების სიწმინდეს და თუ სადმე ყვანა აქვთ, იქ ფეხის-ადგილში უთუოთ რკინის კუპოროსი ასხან,—თორემ შესაძლებელია, რომ გაზაფხულზე ისევ ნამდვილი ხოლერა დაგვაბრუნდესო.

* * *

„დროება“ № 48

—ოჩამჩირის მაზრიდამ (სოხუმის განყოფილებაში) იწერებიან „მმართებლობის მოამბეში:“ „გონებითი ცხოვრება აქაური საზოგადოებისა ძალიან მდაბალ ხარისხზედ დგასო. გაბრიელ ეპისკოპოზმა ცოტა ოდნათ გააცნო აქაურები ქრისტეს სწავლას ასე, რომ წელს 5,000 კაცზე მეტმა მიიღო ქრისტეს სარწმუნოება. ამ ჟამად ოჩამჩირის მაზრაში 29 სასოფლო ეკკლესია არის. რუსის მართებლობის განწესებიდამ აქ ხუთი შკოლა დაარსდა, რომლებშიაც 160 ყმაწვილი სწავლობს. ხალხში გავრცელებულია სწავლის სიყვარული, მაგრამ მტაცებლობა ჯერ კიდევ არ მოსპობილა: ცხენის მოტაცება, მაგალითად კეთილ საქმეთ მიაჩნიათ. ყველაზე უმთავრესი ყურადღება აქაურებს ახლად დამოკიდებული წოდებების (გლეხ-კაცების) განთავისუფლებაზე და აზნაურ-თავადობის გარჩევაზე აქვთ მიქცეული.

* * *

## ახალი სამხედრო სამსახურის წესის ამბავი.

ერთი «ბირჟის» უწყების მოამბე აი რასა სწერს კოვნოს ქალაქიდგან: ამჟამათ, ოთხ ნოემბერს რომ უმაღლესი ბრძანება გამოვიდა სამხედრო სამსახურის თაობაზე, ყველანი მხოლოდ იმაზე ლაპარაკობენ. საცა უნდა შეხვიდე, ყველგან ამას ასე გეტყვიან, ამას იქით გარჩევა არ იქნება, ყველანი თანასწორათ უნდა შევიდეთ სამხედრო სამსახურშიო. ისინი ამბობენ, რომ ახალი კანონი, რომლის ძალით ყოველი კაცი უნდა გახდეს მამულის დამცველი მხედარი, დიდს ცვლილებას მოახდენსო ჩვენს საზოგადოებაში. განსაკუთრებით ურიები არიან დიდს ამბავში. აქამდის იმათი წესი ეს იყო: თუმცა სალდათები იმათაც ემართათ, მაგრამ ისინი არაოდეს ჯარში არ გაჰყავდათ; იმათ ართმევდენ ფულს, რომლითაც იქირავებდენ სალდათს. ახლა როგორც სხვანი ისინიც, აგრეთვე სალდათებათ უნდა გაიწვიონ და სხვებსავით მხედრებათ შექნენ... იმათ ძალიან ეზარებათ ეს ამბავი, რადგან ელიან, რომ ჩინებს და დიდ კაცობას ბევრი ჩვენთაგანი ეღირსებაო.

ამ აზრით რუსის ურიებს ძალიან ჰსურთ, რომ ეს ახალი კანონი სამხედრო სამსახურისა მალე გამოიცეს. ახლანდელს რუსის ურიებს წმინდის გულით უნდათ, რომ ყოველს საქმეში, სახელმწიფო გადასახადი ვარო, თუ სხვა სახელმწიფო მოვალეობა, სხვა ქრისტიანებთან გათანასწორებულნი იყვნენ.

**სამეურნეო საზოგადოება.** ერთს რუსეთის გაზეთში სწერენ, პეტერბურგის გუბერნიის ლუარის უეზდში. ერთი განათლებულის მებატონის წინამძღოლობით დააფუძნეს უეზდში სამეურნეო საზოგადოება. ამ საზოგადოების წესდება თუმცა უმაღლესმა მთავრობამ კიდეც მოიწონა, მაგრამ რადგანაც ერთი რომელიღაც მუხლი, რომელსაც ადგილობრივი უეზდის გამგეობა ითხოვდა, არ ჩასწერეს წესდებაში, ამისთვის იმას თურმე აქამდის არ წარუდგენია ეს წესდება დასამტკიცებლათ და სამეურნეო საზოგადოება არის ისე ხელშეკრული.

## რამდენიმე სიტყვა საქონლის ექიმებზე რუსეთში.

ზოგიერთი თანამდებობა ისეთია, რომ როგორიც საჭიროა, ისეთს ყურადღებას არ აქცევენ და ამის გამო საზოგადოებას და სრულიად სახელმწიფოს დიდი ზარალი ემლევა. ერთი ამ თანამდებობათაგანი, რომელიც ამ ჟამად სრულებით მივიწყებულია, საქონლის ექიმის თანამდებობაა.

ნიჭიერი ყმაწვილი არას ოდეს არ გაკადნიერდება ისე, რომ საქონლის ექიმობა ისურვოს, რადგან ეს თანამდებობა წინ ვერ წაადგმევინებს ფეხს საზოგადოებაში საქმის მცოდნე კაცს. ამასთანავე არც იმდენი ჯამაგირი აქვთ საქონლის ექიმებს, რომ შეიძლებოდეს იმით ცხოვრება. აქედგან აი, რა გამოდის, ერთი რომ საქონლის ექიმები მცირეთ არიან და ვინც არიან, ისინიც სუსტნი და თავის ხელობის უმეცარნი.

ამას გარდა ვინც არიან, როცა ისინი გახდებიან საჭირონი სხვა-და-სხვა ალაგს საქონლის ავათმყოფობის დროს, შეუძლებელია რომ თავის დროზე მივიდნენ იმ ალაგს ახლანდელი გასამგებო წესი ისეთ ნაირია, რომ სანამდის გუბერნიის ქალაქიდგან საქონლის ექიმს გაგზავნიდნენ ამ ალაგს ან ჭირი, სხვა ავათ-მყოფობა კიდეც გაქრება; და რომ კიდეც მოვიდეს, მაინც წამლობის მაგიერათ ის დაიწყებს სიების დგენას რამდენი პირუტყვი მოკვდაო, რამდენი ავათ არისო და რამდენი გადარჩაო. მერე ამოსწერს კანონის მუხლებს. როგორ უნდა მოიქცეს სოფელი საქონლის ავათმყოფობის გაჩენის დროს, მისცემს მამასახლისს, ან სოფლის ნაცვალს, აასრულეო და საქმე ამით გათავდება. ჩვენი სოფლის მოხელენი კი მაგდენათ ყურადღებას არ აქცევენ ერთი ამისთვის რომ არა სჯერათ იქიდ

გან ხეირიანი რამე გამოვიდეს და მეორე მაგდენათ თავის შეძლებაც არ იციან სხვა-და-სხვა სოფლის სასარგებლო განკარგულებაზე; ამასთანავე სოფლელს მოხელეებს იმდენი ღონეც არა აქვთ, რომ მტკიცეთ აასრულონ ზემოხსენებული კანონის მუხლები ავათმყოფობის მოსასპობელათ.

უფრო ხშირათ ავათმყოფს საქონელს არ მოაშორებენ კარგამყოფებს; ჭირიანს პირუტყვს ყოველგან ატყავებენ და სადაც მოკვდება საქონელი, იმის ლეში იქავე რჩება, ასე გაშინჯე არც კი დაფლავენ. თვითონ საქონლის ექიმსაც იმდენი ღონე არა აქვს, რომ ყოველს სოფელში ავათმყოფ საქონლებს უწამლოს, რომ კიდეც ძლიან სურდეს და ხელიც ემარჯვებოდეს. გადამდები ავათმყოფობა კი თავისას არ იშლის, წლითი წლობამდე აოხრებს ქვეყანას.

ჩვენი მეცნიერები ბევრ სხვა მრავალგვარს მიზეზს აბრალებენ სოფლელების თანდათან გაღარიბებას და ეს კი თავშიაც არ მოსდით, ჭირი რა საქმეს უშვრებათ იმათ. ერთი უმთავრესი მიზეზი სოფლის ერის გაღარიბებისა სწორეთ ეს ჭირი და სხვა გადამდები ავათმყოფობაა, რომელნიც სოფლელს არ არჩენენ საქონელს და ჭირნახულს შემოსვლის დროს ღონე არა აქვთ, რომ მიაწიონ საქონლის გაწყვეტის გამო. ამას გარდა სასუქიც ნაკლებათ აქვთ.

თუმცა ერობა ყოველსავე ამას კარგათ ხედავს, მაგრამ ვერა გაუწყვიარა, იმიტომ რომ კარგი საქონლის ექიმები ძალიან ცოტანი არიან. ამასგარდა ჭირის მომსპობელი წესიც იმოდენათ არ არი გაწყობილი, რომ რიგიანათ ასრულებდეს თავის დანიშნულებას.

აქედგან ცხადად სჩანს, რომ საჭიროა საქონლის ექიმების ბლომათ გამოზრდა და ამ ექიმობის სწავლის გავრცელება. იქნება ბევრმა საერო გამგეობამ თქვას, რომ ღონის მიება არ არის, მაგრამ რაც ზარალს ჭირი აძლევს ქვეყანას, იმის მესამედიც რომ საქონლის ექიმობის სწავლას მოხმარდეს, სრულებით საკმაო ჭირის და სხვა ავათმყოფობის შესამცირებლათ. ამასთანავე სასოფლო შკოლებში მიროვის პოსრედნიკებს და მამასახლისებს უნდა მიეცეს დარიგება, თუ რამდენი ზარალი მოსდით საქონლის ავათმყოფობის გავრცელებით იმისგამო რომ არ იქცევიან ისე, როგორც კანონის მუხლები ამბობენ ჭირის მოსასპობელათ.

## სამეურნეო ნაწილი

### ზოგიერთს ფრინველებს სოფლის მეოჯახე სულ უბრალოთ მტერებს.

ზოგიერთი მეოჯახეები, და განსაკუთრებით გლეხები, ემტერებიან და უწყალოთ სდევნიან ზოგიერთს ფრინველებს, ვითომც ისინი ნამუშევარს ზარალს აძლევდენ, მაგრამ ზარალის მაგიერათ კი ისინი დიდს სარგებლობას აძლევენ და როცა გააწყობენ, მხოლოდ მაშინ ჰგრძნობენ თავიანთ შეცდომას. ამისთვის საჭიროთ ვრაცხთ აგწეროთ ის ფრინველები, რომელნიც მავნებელათ მიაჩნიათ, მაგრამ სასარგებლონი კი არიან. აქვე აგწერთ რა დროს რითი რჩებიან.

1) მოკლე ყურებიანი ბუ: იანვარში, თებერვალში და მარტში თაგვებით რჩება; აპრილში—ჭიჭინობელათი და თაგვებით; მაისში თაგვებით და ბუზანკალიებით, აგვისტოში მარტო თაგვებით;—ივნისში—ლოკოკინათი;—ივლისში—მინდვრის თაგვებით და პატარა ფრინველებით;—აგვისტოში—თაგვებით; სეკტემბერს და ოკტომბერს—მინდვრის თაგვებით და ლოკოკინებით; ნოემბერში მინდვრისა და შინაური თაგვებით, დეკემბერს—თაგვებით, ბორბალათი და ლორწო-მწერით.

* * *

2) ჰარნაშო (დიდ ყურებიანი ბუ). იანვარი, თებერვალი და მარტი იკვებება თაგვებით. აპრილში—ბუზანკალიებით; მაისს—ვირთაგვათი, თრიათი და ბუზამკალიებით. თიბათვეს ჭიებით, ლოკოკინებით და თაგვებით; ივლისს-თაგვს, ლოკოკინას და ლორწოჭამს ჭიას სხვა დრო კი მხოლოდ თაგვებით სრჩება.

* * *

3) იანვარში მინდვრის თაგვებს იჭერს;— თებერვალში და მარტში ჭიებსა და მატლებს ამოთხრის მიწიდგან;—აპრილში ლოკოკინას, ჭიებს და ხამანწკებს მოულოდ[illegible] თაგვებს—ფრინველის კვერცხებს და ბუზამკალიებს იტაცებს; ივლისს—წვრილმანს ფრინველს და ჭიაბუზას; აგვისტოს—ფრინველებს, მინდვრის თაგვებს და ყოველნაირს მწერებს; სეკტემბერს—სხვა-და-სხვა ჭიებს; ოკტომბერს ჭიაბუზებს და წვრილმანს-ცხოველებს; ნოემბერს და დეკემბერს მრავალნაირს წვრილმანს ცხოველებს და ყოველგვარს ლეშსა და მძორს.

(შემდეგი იქნება)

## სხვა და სხვა გვარის ქათმები

«ამერიკის, სამეურნეო გაზეთში» ნაჩვენებია რამდენიმე გვარი შინაური ქათმისა და კიდეც გვასწავლის როგორ უნდა გაირჩეს ისინი ერთმანერთში.

ა) გამძლე ქათმები: დამბურგის ჯიშისა, ისპანიისა, ლეგხორნი, პოლშური და სხვ.

ა) დიდი კვერცხების მდებელები:—ჩვენებური ბერძნული დედლები, რომელნიც ხშირათ იპოვებიან ზემო იმერეთში, ლაფლეში, გუდან, კრევკერ, შავი ისპანიელი ისეთ დიდ კვერცხებს სდებენ, რომ გირვანქა ექვს კვერცხს იწონის, მეტს ვერა.

ბ) წვრილი კვერცხის მდებელნი დამბურღის დედლის კვერცხი ათი ერთი გირვანქა, მეტი არ გასდის.

ბ) სასუქი დედლები: ლეფლეში, გუდანი, კრევკერი და დორკინის ჯიშისა. 2 კოხინხინისა და ბრახმაპუტრის დედალი უფრო ხორციანი და მძიმეა. ხორცი თეთრი და რბილი, წულიანი არ არის მაგდენათ. ამისთვის საჭმელათ ზემოხსენებულის ჯიშის ქათმებთან ვერ მოვა.

გ) კარგათ კრუხობენ: კოხინხინური, ბრახმაპუტრისა და დორკინისა.

დ) ცუდათ კრუხობენ:—გუდანი, ლაფლეში, ისპანიური, პოლშური, დამბურგელი, ლეგხორნი.

ე) ლამაზნი: ბენტამელი და მშვენიერი აბრეშუმისებრ მბზინავი ბუმბულიანი თათრული ჯიშისა.

ვ) მშვიდობიანი და მუდამ შინ

მ უ ღ ო ი: ბრახმაპუტრა და კოხინხინელი. ამათებისათვის საკმაოა ერთ არშინ ნახევარი სიმაღლე ღობე, რომ გაუკეთოთ, იქიდგან ვეღარსად გაფრინდებიან.

ცოცხალნი მარდნი: დამპურდელი ჯიშისა რომელსაც ორი საჟენი ღობე რომ დაუწყნათ, მაინც არ გაჩერდებიან. ისპანიის ჯიშს, დორკინისას და სხვა ფრანცუზულ გვარის ქათმებსაც მალიან მაღალი საქათმე უნდა მოუღობოთ, თორემ არ დადგებიან. მაგრამ დორკინელი და სხვა ფრანცუზული გვარის ქათმები მძიმენი არიან და ეგრე ადვილათ ვერ გადაფრინდებიან, როგორც ისპანიაში და ლეგხორნი.

(ც) მაგარი და გამძლე ჯიშისა: ბრახმაპუტრის გვარი მალიან ცივს ზამთარს ვერ აიტანს; გუდანისა, დამპურდელი, კრევკერი, ისპანიური, და ლეგხორნი გარეთ სიცივეში რომ დაგდო, იქნება ბიბილი მოუწვას, თორემ სხვა ვერას ავნებს სიცივე.

თ) ს ა თ უ თ ნ ი, ნ ო რ ჩ ნ ი: ლაფლეში, პოლშური ჯიშის. და უმეტესი ნაწილი ბენტამებისა, რომელნიც სილამაზით უფრო გამოდგებიან.

ს ი დ ი დ ი თ: კოხინხინის გვარისა. (დედალნი ოთხ-რვა გირვანქიანები არიან. მამლები რვა გირვანქა ნახევრიანები. ბრახმაპუტრა ლაფლეში ხუთ ხუთ გირვანქიანები არიან. საშუალო ტანისა პოლშური, ისპანიური, ლეგხორნი, და სხვა.. პატარები: დამპურდისა, პულტანები, ანუ თათრული ჯიშისა. მალიან [illegible] ბენტამისა და აბრეშუმის ბუმბულიანი ჯიშისა. ბენტამის გვარისანი ერთ გირვანქა ნახევარზე მეტს არ იწონიან.

## შემწვარი წაბლით ვაჭრობა.

საფრანგეთიდგან თან და თან წაბლი უფრო ბევრი გააქვთ სხვა ქვეყნებში გასასყიდათ. ეს იმითაც მტკიცდება, რომ მაგალითად პეტერბურგში ყოველწლობით უფრო ბევრი და და ბევრი მოდის სულ საფრანგეთიდგან. ამ ოთხი წლის წინათ საფრანგეთიდგან გამოიტანეს ერთი წლის განმავლობაში ორას ორმოც და ხუთმეტ ათასს ფუთზე მეტი გამოი-თითქმის ოცდა ცამეტი. ათასი თუმნისა, ორი წლის შემდეგ თითქმის ორი იმდენი თუმნისა გაისყიდა; მარტო ანგლიაში გაიზიდეს თითქმის ორი მესამედი ამ წაბლისა.

* * *

პარიჟისა და ლონდონის ქუჩებში მგირათ ისყიდება უმი წაბლი გამყიდველებს იქვე ქუჩებში უდგათ გახურებული ტაფები, როცა დადარზე იწვის და რამდენიც მყიდველს ენებება, იმდენს მყიდის ახლათ გამოდებულს წაბლს დადრიდგან; ამ ქალაქების ღარიბი მცხოვრებლები ცხელი წაბლით სხვათა შორის სიცივისაგან გაყინულს ხელებსაც კი ითბობენ. ჩვენშიაც რომ მოიგონებდენ ამნაირათ წაბლების გაყიდვას მალიან კარგი იქნება. ჩვენ ქალაქებშიაც რომ შემოიღებდენ ქუჩა-ქუჩა მაყალზე წაბლის წვას და ყიდვას მალიან კარგი იქნებოდა. მიუცილებლათ ამით ღარიბი სოფლის ხალხი ერთი რომ ხელს მოიცვლიდა თავისი ნაწარმოებით, რომლის მომეტებული ნაწილიც ტყუილად იბნევა და სარგებლობას არას აძლევს ოჯახობას და ამას გარდა, განსაკუთრებით ზამთარში ჩვენი მედროქეები და სოფლის ხალხი, რომელსაც შეშა მოაქვს ტფილისში და ხელები სიცივით გალურჯებული აქვს, ნოყიერ საჭმელს გარდა ცხელი წაბალი ხელების გასათბობათაც გამოადგებოდა. უნდა ვთქვათ, რომ ევროპის ქალაქებში ქუჩა-ქუჩა წაბლის წვა და ყიდვა ყოველგან შემოღებულია.

## უცხო ქვეყნის ამბები

ერთს საქონლის მქიმს გამოუკვლევია ბუზებს რა ნაირათ გადააქვთ ავათ-მყოფსა საქონლიდგან ციმბირის ჭირი და ბოლოს დიდი თვალ-ყურის დევნების შემდეგ, აი, რა შეუტყვია:

1) ბუზები რომ ჭკბენენ, ალბათ იმათ სრულებით არ გადააქვთ გადამდები ავათ-მყოფობა; ისინი მხოლოდ თავის გესლს ჩაასხმენ პირუტყვს და ჭირს გაუჩენენ.

2) იმ ბუზებს, რომელნიც ასხდებიან ჭირიანს ლეშს და იმით იკვებებიან, შეუძლიანთ გადასდვან ჭირი ლეშიდგან ტან-მთელს პირუტყვს.

3) ციმბირის ჭირის გესლი თუ საქონლის კანს მოეცხო, შეიძლება კანიდგან ტანში გაუჯდეს და დაემართოს.

* * *

— ახალი შვრია ზოგიერთ ჯერ ცხენებს ნაწლევების ანთებას მოგვრის და ერთი მეცნიერი დუგინ-კარმანი ამას აბრალებს მარცვლების სინოტივეს. მაშ უნდა გაასხმო ეს მარცვლები, რომ იმით მიზეზით არა აუტყდეს რა ცხენებს. თუ კარგი ამინდია და შემოდგომის მზე კიდევ კარგათ იბინება, მაშინ საფვენზე უნდა გაშალო შვრიის მარცვალი, გახმება და ის იქნება. თუ ავდარია, შვრია უნდა ჩააყარო ტომარაში და კარგა დანთებულ ბუხრის წინ ამყოფო, ან ფურნეში შედო, როცა პური გამოცხვება, იმას შემდეგ ნახევარი, ან ერთი საათის მეტი არ უნდა იმის გახმობას,

* * *

— საფრანგეთის მთავრობა ცდილობს რამე ნაირათ შეაყენოს ყოველ წელს მდინარეების ნაპირებზე გადასვლა, რომელიც დიდს უბედურებას შეამთხვევს ხოლმე ხალხის ცხოვრებას; ყოველი დიდი ქალაქები და სოფლები მდინარეების პირა, უზარ-მაზარ საგუბრებით და სხვა ამისთანა მოწყობილობით არის მორთული. ის მინდვრები და ჭალები, რომელთაც განსაკუთრებით ახდენს წყალი მოდიდების დროს, ისეთ რიგათ კეთდებიან, რომ წყლისგან არა გაუჭირდესთ რა, თუმცა ამათგამო ბევრი ხარჯი აქვს მთავრობას, მაგრამ რაც რჩება წყლისგან წაუღებელი, ის კიდევ ორი იმდენს შემოსავალს აძლევს. ამასთანავე არხებიც გაჭყავთ, რომ ის მინდვრები, ანუ მიწები, რომელთაც წყალი აკლიათ, საკმაოთ ირწყოდეს. ამჟამათ სამხრეთის მხრებში თითქმის ას თუთხმეტი ათასი დესეტინა სულ ამისთანა არხებით და წყლის სავლელ მილებით არის შემკული, და საცა საჭიროა ყოველგან საკმაო წყალი გაჭყავთ.

* * *

Дозволено цензурою· Тифлисъ, 5 Декабря, 1870 г· დუბელირის (გ. წერეთლის და კამპ.) სტამბაში. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელი